აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28

11 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრის წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №10 დადგენილების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრისათვის, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ, გამოყენებულ იქნას მიმდევრობა №10, 11,12, 13,15 და ზევით კანდიდატთა რაოდენობის შესაბამისად;

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის არ უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე